საგანი – „მე და საზოგადოება“

სწავლა-სწავლების მიზნები

საგნის "მე და საზოგადოება" სწავლა-სწავლების მიზანია:

- ადამიანის წარმოჩენა მთავარ ღირებულებად;
- სოციალიზაციასა და თვითგამოხატვაში მოსწავლის დახმარება;
- პატრიოტი მოქალაქის აღზრდა, რომელსაც აქვს მზრუნველი დამოკიდებულება/პასუხისმგებლობა საკუთარი პიროვნების, ოჯახის, თემის, ქვეყნის *(საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, ბუნებრივი გარემოს დაცვა, ეროვნული სიმბოლიკის, ინსტიტუციები, ეროვნული დღესასწაულების პატივისცემა)* მიმართ;
- პიროვნული ურთიერთობებისა და საზოგადოებრივი პრობლემების/საჭიროებების შესწავლის გზით ეროვნული (სახელმწიფო ენისა და კულტურის პატივისცემა) და ზოგადსაკაცობრიო (თანასწორობა, ემპათია, ეთიკა) ღირებულებების ჩამოყალიბება.

DRAFT

ა) დაწყებითი საფეხური - სწავლის შედეგები (III – IV კლასები)

საგნის „მე და საზოგადოება“ ფარგლებში დაწყებითი საფეხურის შედეგების მიღწევის/კომპეტენციების განვითარების საფუძველს ქმნის ცნებების „პიროვნება“, "საზოგადოება", "ზრუნვა", "ინსტიტუცია", „ცვლილება" ურთიერთდაკავშირებული გააზრება. მათი გააზრების საფუძველზე მოსწავლეს შეუძლია:

სწავლის შედეგი	**შეფასების ინდიკატორი** – მოსწავლეს შეუძლია:	**სამიზნე ცნების მოცულობა** – მოსწავლე აცნობიერებს რომ:
(1) საკუთარი თავის აღქმა **პიროვნებად** და საზოგადოების/საზოგადოებრივი ჯგუფის (მაგალითად, ოჯახი, სამეგობრო, სკოლა) წევრად წარმატებული სოციალიზაციისა და თვითგამოხატვისთვის.	➢ საკუთარი და სხვა ადამიანების უნიკალობის *(განსხვავებული პიროვნული თვისებები, ღირებულებები)* გამოკვეთა; ➢ პიროვნული თვისებებისა და დამოკიდებულებების *(მაგალითად, ასერტულობა, ემოციების მართვა, ტოლერანტობა, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა)* გამოკვეთა, რომლებიც ადამიანს საზოგადოების სხვა წევრებთან ჰარმონიული ურთიერთობების ჩამოყალიბებაში ეხმარება; ➢ ცხოვრებისეული სიტუაციების (მაგალითად, ჰარმონიული და კონფლიქტური) კლასიფიცირება; მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთა; ➢ საკუთარი და სხვა ადამიანების ემოციების ამოცნობა და სახელდება; მათი გამომწვევი მიზეზების ახსნა; ➢ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება პიროვნებათაშორის კონფლიქტებთან/ ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირებით ➢ შესაძლებლობების გამოკვეთა/განვითარება ადამიანებს შორის კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით გადასაჭრელად; ➢ კონფლიქტური/ცხოვრებისეული სიტუაციის განხილვა სხვადასხვა მხარის პერსპექტივიდან.	სამიზნე ცნება **პიროვნება** – ყველა ადამიანი არის უნიკალური პიროვნება, რომელსაც აქვს საკუთარი მოთხოვნილება-საჭიროებები *(უსაფრთხოება, მიკუთვნების განცდა, აღიარება, პატივისცემა, რეალიზება)* და მსოფლმხედველობა *(რწმენა, ღირებულებები, იდენტობა).* თითოეული ჩვენგანი თავისებურად აღიქვამს გარშემო მიმდინარე მოვლენებს. ადამიანი სხვა ადამიანებთან ურთიერთობით იძენს ცხოვრებისეულ გამოცდილებას, რაც ხელს უწყობს მის პიროვნულ განვითარებას (პიროვნული თვისებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას). საზოგადოების წევრებთან, განსხვავებული შეხედულების, ეროვნების, რელიგიის ადამიანებთან თანამშრომლობისა და ეფექტური კომუნიკაციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ასერტულობას (ადამიანის უნარს, თამამად გამოხატოს საკუთარი სათქმელი სხვისი შეურაცხყოფის გარეშე). სამიზნე ცნების „პიროვნება“ გათავისება საფუძველს ქმნის სწავლა-სწავლების მომდევნო საფეხურებზე ადამიანის ფუნდამენტური უფლებების შესასწავლად (საგანი „მოქალაქეობა“, სამიზნე ცნება – დემოკრატია).

DRAFT

(2) ასაკის შესატყვისი ღირებულებებისა და საზოგადოებაში მიღებული ეთიკის ნორმების გათავისება სოციუმში ადეკვატურად და ეთიკურად მოქმედებისთვის. (3) საკუთარი ემოციების მართვა განსხვავებული კულტურის, რელიგიის (აღმსარებლობის), ეროვნების, შესაძლებლობის, შეხედულების ადამიანების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულების გამოსავლენად.	➢ ეთიკის ნორმებისა და ღირებულებების *(მაგალითად, სამართლიანობა, პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, განსხვავებულობის მიმღებლობა, განსხვავებული კულტურის, რელიგიის (აღმსარებლობის), ეროვნების, შესაძლებლობების, შეხედულების ადამიანების მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება)* ყოველდღიურ ცხოვრებასთან და საკუთარ პასუხისმგებლობასთან დაკავშირება; ➢ საზოგადოებრივი ჯგუფების (მაგალითად, ოჯახი, სამეზობლო, სამეგობრო, თანაკლასელები) ერთმანეთთან შედარება; ფაქტორების გამოკვეთა, რომლებიც ამა თუ იმ საზოგადოებრივი ჯგუფის წევრებს აერთიანებს; ➢ ინდივიდების/საზოგადოების აქტუალური პრობლემის გამოკვეთა; მათი წარმოქმნის მიზეზების ახსნა; ➢ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხებთან/პრობლემებთან დაკავშირებით. ➢ ვარაუდის გამოთქმა/იდეის განვითარება ინდივიდების/საზოგადოების აქტუალური პრობლემების გადაჭრის ხელშესაწყობად.	<u>სამიზნე ცნება "**საზოგადოება**"</u> – ადამიანი სხვადასხვა **საზოგადოებრივი ჯგუფის** *(მაგალითად, ოჯახი, სკოლა, პროფესიული ჯგუფი, ერი/ეთნოსი)* წევრია. საზოგადოების წევრებს, მიუხედავად მათი პიროვნული განსხვავებულობისა, აქვთ **ერთიანობის განცდა** *(„ჩვენ“),* საერთო **ინტერესი, საზრუნავი** *(გამოხატული სხვადასხვა სახის სიმბოლოებში, ტრადიციებში, საერო და რელიგიურ დღესასწაულებში);* ისინი ერთმანეთთან თანხმდებიან **ურთიერთობისა და ქცევის წესებზე,** საერთო **ღირებულებებსა** და **პასუხისმგებლობებზე.** საზოგადოების წევრებს შორის ჯანსაღ/ უსაფრთხო კომუნიკაციასა და ჰარმონიული/კეთილგანწყობილი ურთიერთობების ჩამოყალიბებას ხელს უშლის **სტერეოტიპები, მოუგვარებელი კონფლიქტები, ძალადობა,** მათ შორის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით *(პირადი სივრცის დარღვევა, პირადი ინფორმაციის გამჟღავნება, ჩაგვრა/ბულინგი, ,განსხვავებული იდეების თავს მოხვევა),* **ემოციების გამოხატვა-მართვისა და კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მოგვარების უნარების დეფიციტი.** სამიზნე ცნების „საზოგადოება“ გათავისება საფუძველს ქმნის სწავლა-სწავლების მომდევნო საფეხურებზე „საზოგადოების“ იდეის/ცნების უფრო სიღრმისეული გააზრებისთვის საზოგადოებრივი მეცნიერების საგნებში („ჩვენი საქართველო“, „ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“).

DRAFT

(4) პირად და საზოგადოებრივ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე ზრუნვის, ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მნიშვნელობის გაცნობიერება საკუთარი თავის, ოჯახის, მეგობრების, საზოგადოების, ქვეყნის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულების გამოსავლენად.	➢ პირადი და საზოგადოებრივი საჭიროებების გამოკვეთა; ყოველდღიური ქმედებების გრძელვადიან მიზნებთან (მაგალითად, ჯანმრთელობა, ფინანსები, პროფესიები) დაკავშირება; ➢ ემოციების სახელდება და მათი დაკავშირება ადამიანის განწყობასთან და საჭიროებებთან; ➢ ზრუნვის ფორმების *(მაგალითად, მოხალისეობა, ქველმოქმედება,)* ერთმანეთთთან შედარება; მათ შორის მსგავსებებისა და განსხვავებების გამოკვეთა ; ➢ ადამიანების/საზოგადოებრივი ჯგუფების *(მაგალითად, ოჯახის წევრები, მეგობრები, მეზობლები, თანამოქალაქეები, სასკოლო საზოგადოები, თემი, ქვეყანა)* საჭიროებების/ პრობლემების გამოკვეთა და მათი გამომწვევი მიზეზების ახსნა; საკუთარი ჩართულობით მათ გადაჭრაზე ზრუნვის მნიშვნელობაზე მსჯელობა/მათ გადაჭრაზე ზრუნვა. ➢ პიროვნულ ურთიერთობებსა და საზოგადოებრივ პრობლემებზე ზრუნვის პოზიტიური ზეგავლენის დასაბუთება; ➢ ამა თუ იმ საჭიროებასთან/პრობლემასთან მიმართებით ზრუნვის კონკრეტული ფორმის მიზანშეწონილობის დასაბუთება; ➢ ვარაუდის გამოთქმა/იდეის განვითარება, რომელიც მიმართული იქნება ცხოვრებისეული პრობლემების მოგვარებაზე, კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვასა და საზოგადოებრივი პრობლემის პრევენციაზე.	<u>სამიზნე ცნება "**ზრუნვა**"</u> – ზრუნვა ნიშნავს თანაგრძნობას/თანაგანცდას (ემპათიას) და მოვლას; საკუთარი ქმედებებით ვინმეს(მაგალითად, ოჯახი, მეგობრები, თანატოლები) ან რაიმეს *(მაგალითად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, გარემო, საზოგადოებრივი პრობლემები,რესურსების დაზოგვა და ჯანსაღი ცხოვრების წესი, ცხოველები და მცენარეები)* მიმართ ყურადღების გამოხატვას პირადი სარგებლის მოლოდინის გარეშე, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სამიზნე ცნების „ზრუნვა“ გათავისება საფუძველს ქმნის სწავლა-სწავლების მომდევნო საფეხურებზე სამოქალაქო მონაწილეობისა და მდგრადი განვითარების იდეის/ცნების გასააზრებლად საგნების „ბუნებისმეტყველება“, „ჩვენი საქართველო“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“ ფარგლებში.

DRAFT

(5) ინსტიტუციების ფუნქციებისა და მნიშვნელობის გააზრება ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის აქტუალური საჭიროებების/პრობლემების გადასაჭრელად/ მათი მოგვარების პროცესში წვლილის შესატანად	➢ საზოგადოების წევრების საქმიანობის/პროფესიების და საჭიროებების დაკავშირება კონკრეტული ინსტიტუციების (მაგალითად, სახელმწიფო სამსახურები, კულტურულ-საგანმანათლებლო, რელიგიური, მედია, ეკონომიკური ინსტიტუტები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები) ფუნქციებთან; ➢ ინსტიტუციების/პროფესიების ერთმანეთთან შედარება ფუნქციების/დანიშნულების მიხედვით; ➢ ამა თუ იმ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტის ფუნქციის ახსნა; ➢ ამა თუ იმ საზოგადოებრივი და სახელმწიფო ინსტიტუტის საჭიროების გამოკვეთა და დასაბუთება *(მაგალითად, მსჯელობა იმაზე, რას აკეთებს ეს ინსტიტუტები ისეთს, რასაც საკუთარი ძალისხმევით ვერ შევძლებდით);* ➢ ვარაუდის გამოთქმა, ახალი ინსტიტუციების საჭიროებისა და არსებულის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.	<u>სამიზნე ცნება **"ინსტიტუცია"**</u> – ინსტიტუცია არის კონკრეტული დანიშნულების/ფუნქციის მქონე დაწესებულება, რომლის მიზანია ინდივიდებისა და საზოგადოების საჭიროებებზე ზრუნვა. ინსტიტუციებში სხვადასხვა **პროფესიის** ადამიანები მუშაობენ. ისინი უფრო ეფექტიანად ზრუნავენ ინდივიდებისა და საზოგადოების საჭიროებებზე, ვიდრე ეს ერთ ადამიანს შეუძლია. სამიზნე ცნების „ინსტიტუცია“ გათავისება საფუძველს ქმნის სწავლა-სწავლების მომდევნო საფეხურებზე სახელმწიფოს იდეის/ცნების გასააზრებლად საგნების „ჩვენი საქართველო“, „ისტორია“, „გეოგრაფია“, „მოქალაქეობა“ ფარგლებში.

DRAFT

(6) სოციალური მოვლენების დროში ცვალებადობის გააზრება ინდივიდებისა და საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხების/პრობლემების გასაანალიზებლად.	➢ ტრადიციების, სიძველეების, არტეფაქტების, სიმბოლოების, მიკროისტორიების წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან დაკავშირება; ➢ ინდივიდისა და საზოგადოებისთვის აქტუალურ საკითხების/პრობლემების წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან დაკავშირება; ➢ ტრადიციებთან, სიძველეებთან, არტეფაქტებთან, სიმბოლოებთან დაკავშირებული მიკროისტორიების ერთმანეთთან შედარება ღირებულებითი ასპექტების მიხედვით *(მაგალითად, განსხვავებების გამოკვეთა ისტორიებს შორის, რომლებიც ოჯახისთვის, სკოლისთვის, სამეზობლო თემისთვის და მთელი ქვეყნისთვის მნიშვნელოვან მოვლენებსა და ღირებულებებს გვახსენებს).* ➢ ახსნას მიზეზები, რატომ შემორჩა ესა თუ ის ცხოვრებისეული ამბავი/მიკროისტორია საზოგადოებრივი ჯგუფის წევრების მეხსიერებას; ➢ საკუთარი მოსაზრებების დასაბუთება კონკრეტული მიკროისტორიის, რელიკვიის, სიმბოლოს წარმოშობასთან და მის მნიშვნელობასთან დაკავშირებით; ➢ განხილული ამბების მსგავსი/მასთან არსობრივად დაკავშირებული მიკროისტორიების მოფიქრება/გახსენება.	<u>სამიზნე ცნება **ცვლილება**</u> – ცვლილება ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. მის შესახებ ინფორმაციას ცალკეული ობიექტები *(მაგალითად, **არტეფაქტები, სიძველეები), ტრადიციები** და **ტექსტები (ზეპირი, წერილობითი)*** ასახავს/ინახავს. ეს ობიექტები ჩვენთვის მნიშვნელოვან ღირებულებებს განასახიერებს და მათთან დაკავშირებულ ისტორიებს „გვიამბობს“. სამიზნე ცნების „ცვლილება“ გათავისება საფუძველს ქმნის სწავლა-სწავლების მომდევნო საფეხურებზე ისტორიზმის პრინციპის გააზრებისთვის (საგანი „ჩვენი საქართველო“ – სამიზნე ცნება „დრო“; საგანი „ისტორია“ – სამიზნე ცნება „დრო, ისტორიული პერიოდი“, საგანი „მოქალაქეობა“ – სამიზნე ცნება „საზოგადოება“, „მდგრადი განვითარება“, „მონაწილეობა“).

DRAFT

ბ) სასწავლო თემები

თემა	**თემის აღწერილობა**
ჩემი ოჯახი	თემა გულისხმობს ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებასთან / საზრუნავთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.
სასკოლო გარემო, მეგობრები და თანატოლები	თემა გულისხმობს სასკოლო საზოგადოების ყოველდღიურ ცხოვრებასთან, საზრუნავთან, აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.
გარემო, რომელშიც ვცხოვრობ	თემა გულისხმობს სამეზობლო თემის ყოველდღიურ ცხოვრებასთან, თემის წევრების საერთო საზრუნავთან, აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.
განათლება სკოლის მიღმა	თემა გულისხმობს თაობიდან თაობაზე ცოდნის გადაცემის ფორმების შესწავლას. არაფორმალური კონტექსტებისა და საგანმანათლებო პროფილის მქონე სხვადასხვა ინტიტუტების (მუზეუმი, თეატრი, ბიბლიოთეკა, კინოთეატრი) ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.
მედია და ინფორმაცია	თემა გულისხმობს ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებასთან და მედია საშუალებების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.
მე და ჩემი ქვეყანა	თემა გულისხმობს პიროვნებისგან ქვეყანაზე, მის ღირებულებებსა და პრობლემებზე ზრუნვისა და სახელმწიფოსაგან პიროვნებაზე ზრუნვის საკითხების, ასევე იმ საფუძვლების განხილვას, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას ამთლიანებს, ერად და სამოქალაქო საზოგადოებად აყალიბებს.

DRAFT